



ქვეყნის

1991
საგარეო
28
მ ა ი ს ი
N 63 (10456)
ფანი 5 კავ.

საგარეო დიპლომატიის-გარე ურთიერთობების განყოფილება

გარე ურთიერთობების განყოფილება 1990 წლის 1 ნოემბერი

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებმა უგვიდღეობით მშრომელთა მალალი აქტივობის ვითარებაში ჩაიარა. ამ დღესათვის ათასობით უგვიდღეობა გამოხატა თავისი ნება და ხმა მისცა რჩულთა ძორის ყველაზე გამორჩეულს ზვიად გამსახურდიას, ვისაც მრავალეროვანი საქართველოს ყველა მცხოვრები უკავშირებს სვალისდელ დღეს, მის ხათკლ ძომავალს.

წინასწარი მონაცემებით ზვიად გამსახურდიას ხმა მისცა არჩევნებში მონაწილე რესპუბლიკის ამომრჩეველთა 87,8 პროცენტმა.

ზუგდიდელი ამომრჩევლები ძალზე შეგნებულად მოეკიდნენ ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ კამპანიას. ქალაქისა და რაიონის ყველა საარჩევნო უბანში არჩევნებმა მძვიდ, ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

ჩვენს გვერდში დავუდგებით

საქართველოში 29 აპრილს დატრიალებულმა სტიქიურმა უბედურებამ შექარა პოლიტიკური ტექნიკუმის მოსწავლეები და მასწავლებლები. ამ საიფხს მიეძღვნა საერთო კრება, სადაც გადაწყდა შექმნილიყო უბედურებაში ჩავარდნილთა დახმარების ორგანიზაციის შტაბი. გამოიკვეთა თანადგომის სხვადასხვა ფორმა, მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა თავი მოუყარეს ნაირგვარ შემოწირულობას ფესხაცმლებს, ტანსაცმელს, თეთრეულს, ჭამ-ჭურჭელს და ა. შ. სულ შეგროვდა 750 დასახელების ნივთი. ყოველივე ეს სპეციალური ყუთებით ჩატანილი და გადაცემული იქნა საჩხერის რაიონის

გაშთლების განყოფილებასათვის. სტიქიით დაზარალებულთა ფონდში გადაირიცხა 5550 მანეთი. ტექნიკუმის მოსწავლეს, ქ. საჩხერეში მცხოვრებ ქეთევან კობროძეს, რომელსაც სახლი დაუზღვრა მიწისძვრამ, გაეწია ერთდროული დახმარება 8 ათასი მანეთის ოდენობით. ამ დღეებში ჩამოყალიბდა 30 კაციანი სამშენებლო რაზმი. იგი ელოდება ქუთაისის შტაბიდან გამოძახებას. ჩვენი პედაგოგების დიდმა ნაწილმა სურვილი გამოთქვა შეიფაროს სტიქიით დაზარალებულთა თითო ოჯახი.

3. შპარასხელია.

კვირა დღით სოფლის ცენტრიდან გააცილეს დარჩელებმა სატვირთო მანქანა და ავტობუსი, რათა საჩუქრები ჩატანათ მიწისძვრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის. სტიქიური უბედურების შესახებ ცნობის მიღებისთანავე დარჩელის ჩაის მეთურნობის კოლექტივმა შექმნა შტაბი, რომლის ხელმძღვანელობაც დაავალა დირექტორის მოადგილეს ბიძინა არსნიას. ქუთაისის შტაბში ამბროლაურის რაიონში წასვლა გვიჩვიეს. მიუყვებით რიონის ხეობის თვალწარმტაც სანახებებს. და უნებლიეთ წამოგვცდება პოეტის სიტყვები: „სხვა საქართველო სად არის“, ამიტომაც ევოტინება ამ თვალწარმტაც ქვეყანას მომხდური. მაგრამ ქართველი ერი ცალი ხელით გუთანს მიუყვებოდა მეორეში თოფი ეჭირა და ასე იცავდა წინაპართა ოფლითა და სისხლით დამბალ მიწას. დღეს კი რატომღაც კარგად მოვლილი ვენახების გვერდით ნახავ უპატრონოდ მიტოვებულ

„...მაზრამ ღვერთი არ გასწირავს...“

ნავენახარებს, რაც არ ეკადრება „ჭირსაშიგან გამაგრების“ მცოდნე ქართველს, იოლი ცხოვრების ძენაში მამა-პაპის ნაფუძარი რომ შიატოვებს... სევდიანი განწყობილება ერთ-ბაშად გაგვიქარწყლა საკეტელაბთან შეხვედრამ. ზაურ, როინ, ივანე, ვიტალი მიქიაშვილებს, ამირან კევიციანს, ზაურ ქოქო საძეს, ჯოტო, აველი, ავთო კიკვიციანს სახლების ნანგრევებთან ახლოს გაუშლიათ კარგები, მაგრამ ქართველი კაცისთვის ჩვეული სტუმართმყოფარობით ვეხვდებიან. რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების ინჟინერ შა, რაიონული შტაბის წევრმა მურმან მიქიაშვილმა გადასცა დაზარალებულ ოჯახებს დარჩეულთა საჩუქარი. ასევე, სოფელ სადმელის საბავშვო ბაღის გამგეს ლაშხირა ცხვედიანს დარჩეულთა ექიმმა ქალიშვილმა თავისი დანაზოგი ფულადი საჩუქარი გადა-

სცა, ხოლო დარჩელის მეორე სკულოლო სკოლის დირექტორის მოადგილემ თამარ ბიგვაჯამ ფულადი საჩუქარი გადასცა საკეტის სკოლის წარმომადგენელს. სოფელ უფშაშიც ჩავუტანეთ საჩუქრები მიწისძვრით დაზარალებულ ოჯახებს. დარჩეულთა ჭრებო თოდლამ საჩუქრები გადასცა მისი სიძის-თმარ კობახიძის მეზობლებს, ირც სოფელ ჭრებალის დაზარალებული ოჯახები დაგვჩენია ყურადღების გარეშე. შინმისკვალთ მოგვყვებოდა მიწისძვრით დაზარალებულ თანამეგობელთა მხურვალე მადლიერების გრძობა და საკეტელი ომარ კერვალიშვილის იმედიანი სიტყვები: „ღმერთმა არ გავწიოტა, რადგან არა ვართ გასაწერი ხალხი“.

ანტონ არანია.

მეორედ ჩასვლას დავპირდით

სტიქიით დაზარალებულთა ოჯახების ნაწილი ჰქადუნაშის პანსიონატში შეიფარა. მათთან კონტაქტის სურვილი ყველა უგვიდღელს გააჩნია, სწორედ, ამ მიზანს ემსახურებოდა ქალაქის ქალთა საბჭოს (თავმჯდომარე დ. შამათავა, პასუხისმგებელი მდივანი ქ. მიქიავა) ინიციატივით მოწყობილი შეხვედრა დაზარალებულთა.

დაზარალებულთა ფულადი დახმარების სახით 3700 მანეთი გადასცეს დაფნის კომბინატის, ლენის ქარხნის, საბჭოს ქუჩის ქალთა კომიტეტების თავმჯდომარეებმა: ელზა გაბისონიამ, აბერიონა ლალიძემ, რებეკა მიქენაიამ. აღნიშნული თანხიდან 1500 მანეთი შეაგროვა საბჭოს ქუჩის მოსახლეობამ. პედაგოგმა ივალი თითმერიამ კოსტიუმში გაუზაანა დაზარალებულთა. საქონსერვო ქარხნის, ყრუ-მუნჯთა საზოგადოების, ქირიას ქუჩის ქალთა საბჭოების (თავმჯდომარეებია: ციცო მამარდაშვილი, მედიკო კუჭავა, ეთერ კელასონია) წარმომადგენლები სურსათ-სანოვავითა და ტანსაცმლით დატვირთულნი ჩამოვიდნენ ჰქადუნაში. არც სავაჭრო საქმიანობის (უფროსი ზაირა თორღია) კოლექტივი დარჩენილ გულგრილი. მათ 500 მანეთის მედიკამენ-

ტები გადასცეს უსასილოდ. პენსიონერმა ქალბატონმა ტარიონა ბარკვიციანმა გაიღო 100 მანეთი. დონორობა-სისხლის გაღება შესთავაზა ელენე ნეკრასოვამ. გულმორწყალა გამოიჩინეს ქალთა საბჭოს საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებმა: თ. წულაია, ც. ჯოჯუამ, ტ. გოგობიამ, ნ. ნემსაძემ, ა. აბსაევამ, ნ. სიჭინავამ, ნ. ჩიქობავამ, ა. თორღიამ, ფ. ცალანდიამ, ი. ჩაბალუხამ, ნ. შონიამ, თ. გაბუნია, ე. მირცულავამ, ს. ფანცულაიამ და სხვებმა. უსაზღვრო მადლიერებით გამოგვიცილეს დაზარალებულთა. ჩვენ მათ მეორედ ჩასვლას დავპირდით, ჩავალთ კიდევ... რ. მიქენია, სახალხო განათლების მართხი-ბული.

დახმარების ხელი გაუწოდეს

მწუხარებას მოუცავს მთელი საქართველო. კიდევ ერთი იარა შეემატა ქართველთა მოუშუშებელ ჭრილობებს. რაიკომპკავშირის მუშაკები სულით ხორცამდე შეგვძრა მიწისძვრის შედეგებმა. მთელ საქართველოსთან ერთად ჩვენც გვინდა დახმარების ხელი გავუწოდოთ გაჭირვებაში მყოფთ. სტიქიური უბედურების დროს დაზარალებულთა ფონდში უკვე გადავიცხეთ 3100 მანეთი. გავაგზავნეთ ერთი ტონა ფქვილი, შაქარი, მინერალური წყალი, სოფარტო. რაიკომპკავშირის ბევრმა თანამშრომელმა ერთი თვის ხელფასი გადადო დაზარალებულთათვის. ჩვენს ორგანიზაციას დაქვ-

ემდებარებულმა კერამიკის საშპროს მუშებმა კი 800 მანეთი გაიღეს. რაიკომპკავშირის კოლექტივი შეძლებისდაგვარად კვლავაც დაეხმარება თანამომხმეებს. ა. ბასილაია, რაიკომპკავშირის იურისკონსულტი, ახალაბასთუმნის საშუალო სკოლის (დირექტორი დ. ქადარია), მოსწავლეებმა მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად შეაგროვეს ტანსაცმელი და საოჯახო ნივთები, დაზარალებულთა ფონდში კი გადაირიცხეს 1000 მანეთი. ი. მარჩაბა, დირექტორის მოადგილე აღზრდელთა დარგში.

წინ აღორძინების გზა

მეტად არამყარია, მდგრადი უნდა იყოს ქართული საზოგადოების ერთობა, არასასურველი რეჟიმი დაგვიტოვოს, მაგრამ ჯერ შორს ვართ იმ ნანატრი ყოფისაგან, რომელიც უნდა დაგვამკვიდროს. საზოგადოებრივი ცხოვრების მდიდარს ბევრი შლამი უნდა ჩამოსცილდეს, ბევრი უკეთურობა და უწინდურობა უნდა განიდევნოს ჩვენი სინამდვილიდან.

ერთერთ უმთავრეს ამოცანად გვესახება საზოგადოების სხვადასხვა ფენების კონსოლიდაცია. ეს კი მხოლოდ ერთმანეთისაღმისი კეთილგანწყობით, სხვადასხვა თვალსაზრისზე შედგომი ადამიანების ურთიერთშემწყნარებლობით, გემპირიტი დემოკრატიის დამკვიდრებით მიიღწევა ყველაზე და ყველაფერში უნდა ვესწრაფოდეთ სამართლიანობისა და ობიექტურობის გაბატონებას, თავის დროზე გაუფასურებული ღირებულებების აღდგენას. რამდენი ახალგაზრდის პოტენციური შესაძლებლობები გაიყინა, რამდენი ახალგაზრდის რწმენა შთანთქმობდა ტოტალიტარულმა რეჟიმმა და გულგრილობამ. ყოველივე ამან შექმნა უწესო ატმოსფერო, რომელიც თანდათან უნდა გამოხსნოდეს. მაგრამ არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა უწესრიგობისა

და თვითნებობის ფესვებთან ბრძოლა. მებრძოლად ისინი ობიექტური ხასიათისა, მაგრამ არცთუ მცირე ნაწილი პირადი ნაკლიდან, თვით მოქალაქეთა შეგნებაში ჩაბუდებული მანკიერებიდან მომდინარეობს.

საქართველოში თანდათან ქანსალი, თავისუფალი მორალური-ფსიქოლოგიური კლიმატი მკვიდრდება. ხალხი თავიდან იშორება ძველი, ავტორიტარული სტრუქტურების მარწმუნებს. ხვალ და ზევ ეს პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდება.

საქართველოს ჩვენი ერთგულ-ოცნება, მიმდინარე ისტორიული მომენტის ღრმა გაგება ააღორძინებს.

3. გულშა,
ჩვენი კორ.

საქართველოში ამჟამად შექმნილ მდგომარეობას ძნელია ანალიზი მოუძებნო ერის ისტორიული ძნელდობის გზაზე. საგანგებო, ურთულესი ვითარება, რა თქმა უნდა, ქართველ, ხალხს ოდნედი ქართული სულის, ქართული გენის გაღვივება, ერის წინგებრივი აღორძინება, იმ შიშისა და სიბეზარის დაძლევა, რაც უცხოური ექსპანსიის მიერ იყო დაღეძილი მოსახლეობის უმრავლესობაში, ახლაც ეს სენი გავიძინებს. დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა დავალოთ დაბნეულობა და გავიგებოთ, შიშისა და მერყეობის განწყობილება. უნდა შევძლოთ ერის პოტენციალი, მოცემული უსაზღვრო ენერჯის ტრიალიზება, რათა აღდგეს ქვეყნის ეკონომიკა ქალაქად თუ სოფლად. ქართველი კაცი თავისი შინაგანი ღირსებით, სულიერად მისწრაფებებით, ცხოვრების წესით უნდა დაემსგავსოს თავის სახელოვან წინაპარს, როდის შეეძლებოდა ყოველივე ამას? მათი ცხოვრების წესი, თუ ათასგნის ნათქვამს გაიმეორებ; ჩვენი ხსნა ძალთა გაერთიანებაშია ერთიანობისათვის დღეა როდის გამოიცილებს ქანსალი ოპოზიციის არსებობას. მაგრამ არაფერს გვარგებს ერთმანეთის ჩასაფრება, კრიშაში ჩადგომა. ვინც ამას შეეცდები, ნებისთ, თუ უწესლოდ ჩვენს საერთო საქმეს ზიანს აყენებს.

ამაზე ყველას გვმართებს დაფიქრება.

უ. ჯოლოსაძე,
ჩვენი კორ.

არა გათიშვა, არამედ ერთიანობის მიღწევა

არაერთხელ მოსდგომია კარს, მაგრამ ესლანდელი სიტუაცია. მიინც სულ სხვა მამულებისა და შინაგანი წინააღმდეგობების შემთხვევა.

ფაქტობრივად რა სურათი იხატება ჩვენს თვალწინ? ათეული წლების მანძილზე ცენტრის მიერ ძალით თავს მოხვეული საწარმოო სტრუქტურები, სულიერად დამაინებელი იდეოლოგია, დუბიური ყოფა, დამახინჯებული აღმშენებელი ურთიერთობები, დაკნინებული ზნეობა, ყოველივე ეს მოგვიტანა ტოტალიტარულმა რეჟიმმა. ჩვენდა საბედნიეროდ, ეროვნული ძალების თავგამებელი ბრძოლით, პირველ რიგში მრგვალი მაგიდას წარმოადგინებდა მამულიშვილური შემართებით მოხერხდა ისტორიული გარდატეხა, უსისხლო რევოლუციით პარტოკრატის რეჟიმის შეცვლა.

თუ წარსულს თვალს გავადევნებთ, ეს ღრმად ვითარდა აღმშენებლის ეპოქის მოგვაგონებს. ახლაც, ვითარცა მაშინ, ფაქტობრივად ნანგრევებიდან ვიწყებთ ქვეყნის შენებას. საქირო იყო

თვალსაზრისი

ტექნიკის დიდი გარდატეხის მოლოდინშია დღეს სოფელი. უმისოდ გაიწვინდა. ხელით ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ღრმად აღარ არის, სკირობა მცირე მექანიზაცია, რომელსაც დიდი სიკეთე მოაქვს სოფლის მეურნეობისთვის.

მცირე მექანიზაციით მკრეფავთა რიცხვი სულ უფრო იზრდება ცივილიზაციის კოლმეურნეობაში, იმისათვის, რომ სეზონი თ განიზრახულად დაწყებულიყო გატარება წინასწარი ღონისძიებებით: წესრიგში იქნა მოყვანილი ელექტრომეურნეობა, მისი საყრდენი ბოძები, მისასვლელი გზები, შეკეთდა უტარო გადაზიდვის მანქანები და სხვა.

დასავალი როლია, რომ აბარტების დიდი ნაწილი ხშირად გამოდის მწყობრიდან. იგი ვერ ითმენს ინტენსიურ კრეფას და ხშირ ექსპლოატაციას, ამიტომ

მიქმედებს „სკოლა“

ომ საქიროა ყველამ მცირე მექანიზაციით მკრეფავთა გაიზარდოს კრეფისათვის გამიზნული აბარტი, ფრთხილად მოკიდოს მის, საიმეოდ დიდცვას უსაო თხოვრების რეჟიმი, არადა საშინ ელექტრომეურნეობასთან გვაქვს საქმე. საქიროა მეტი სიფრთხილე.

ვიმედოვნებთ მცირე მექანიზაციით მკრეფავებსაც გადმოგვხედებს დღევანდელი მთავრობა შეეცდება სათანადო ქარსების მოდერნიზებას. ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის დანერგვას, სწორედ მაშინ აღარ გვექნება საუფუტნო, თორემ დღეს გამოდგება დაგროვილი მრავალი პრობლემის ერთბაშად გადაწყვეტა.

მცირე მექანიზაციით კრეფას მე კარგა ხანია დავეუფლეთ. მკრეფ იჯარული შრომის მეოლით, მაქვს საკუთარი სქემა, თუ როგორ გავადიდო ბუჩქზე დუყების

რაოდენობა, როგორ და რა ვადებში ვკრიფო ნედლეული, რაც, საშუალებას მიძლევს გავთვალისწინო სეზონული მოსავლიანობა, არ დავუშვა დანაკარგები.

გაპროცენებული ჩაის პლანტაციებიდან შარშან მოგვირგე. 22 ტონა ჩაის მწვანე ფოთლი და რომ წელს ჩამოვრჩე შარშანდელ მანქანებულს, ეს გამოიცხვლითა როგორც იტყვიან მე ჩემი „სკოლა“ მაქვს სოფელ ციხში. გამოიჩინდნენ მიმდევრები, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდება.

სულ მალე უნდა გამოირიცხოს ჩაის მწვანე ფოთლის ხელით კრეფის მეოლი, რამე თუ ტექნიკურმა რევოლუციამ თავისი სიტყვა უნდა თქვას ქართულ ჩაის წარმოების საქმეში.

3. გივამაძორი.
მცირე მექანიზაციით მკრეფავი.

ყველა ერთნაირად განეწყო

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მომდინარე სეზონს ახალ ვითარებაში შესვდნენ ჩვენი ბრიგადის წევრები, რომლებიც ე. წ. „შესვენების“ შემდეგ რვა მაისს შეუდგნენ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფას.

საკუთარი მარკო ქართული ჩაის გასვლა საერთაშორისო ბრუნაზე მეტად პასუხსაგები საქმეა. კარგად გვეხმის რომ ნედლეულის ბედი აქვე, პლანტაციაშივე წყდება, რამეთუ მაღალი ხარისხის ნედლეული ეს მაღალი ხარისხის პროდუქციაა.

რაოდენობაზე გამოკიდებულნი ვიფიქრებდით ხარისხს, მაგრამ

დღეს პირუტყვა: ჯერ ხარისხი, ხოლო შემდგომ რაოდენობა. ამიტომაც ცდილობს ყველა მერაიე ამზადოს მხოლოდ ხარისხიანი ნედლეული, რომლის ანაზღაურება არც ისე დაბალია.

ნარაზენის ჩაის ფაბრიკისაკენ მიმავალ მანქანების ქარავანში ჩვენი ტრანსპორტიცაა. ის მრეწველობას აბარებს № 7 ბრიგადის ნაკრეფ ნედლეულს.

სახელმწიფოს მიერადა 40 ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთლი. კრეფა გრძელდება.

მ. გივამაძე,
№ 7 ბრიგადის ხელმძღვანელი.

ამ დღეებში...

ციხის ჩაის ფაბრიკას 14 მაისს ჩაის ნედლეულის პირველი ტონები ჩააბარეს ოქტომბრისა და ციხის კოლმეურნეობებმა.

ამ დღეებში ისინი იღებენ ნედლეულს კითაწყარის, ურთის კოლმეურნეობებიდან, ონარის, აბასთმენის, დიდინების მეურნეობებიდან.

ფაბრიკა, რომლის სადღეღამისო წარმადობა 40-45 ტონაა, მზადაა წელს შილს და გადაამუშავოს 4.000 ტონაზე მეტი ნედლეული.

აბარებენ ხარისხოვან ნედლეულს

ზედაეწერის ჩაის საზოგადოებრივი მეურნეობის შრომისმოყვარე კოლექტივმა დაიწყო ჩაის ფოთლის კრეფა. პლანტაციებში გავიდნენ ჩაის საკრეფო მობილური მანქანები, ასევე ორგანიზებულია ხელით კრეფა. გარკვეული მუშაობა ჩატარდა საიმისოდ, რომ მშრომლებს გადაქრით ეთქვათ უარი იმ აკრძალული თვითნაკეთი იარაღებით ჩაის

„ქრა-თიბვისათვის“.

ჩაის სეზონის პირველ დღეებში გამოიყენეთა № 8, 5, 7, უბნების საშური მობილიზებულია (უბნის უფროსები თ. ფიფია, მ. გვარამია და რ. წულაია). მათ ხარისხიანი ნედლეული ჩააბარეს ზედაეწერის ჩაის ფაბრიკას.

მ. ნიშნაძე,
ზედაეწერის მეურნეობის დირექტორი.

ამაღლდა ანაზღაურება

წლეუანდელ სეზონს განსაკუთრებული ხიბლი აქვს ყველა მეჩაიემ კარგად იცის, რომ თავისი შრომით მას განსაკუთრებული წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკის დამოუკიდებლობის საქმეში.

რუხელ მეჩაიეებს იჭარული შეთობის დანერგვით მოუწევთ

წელს მუშაობა. გაფორმებულია ხელშეკრულებები შეიჯარებასა და მოიჯარეს შორის. საგრძნობლად ამაღლდა ანაზღაურება. რაც გარანტიცაა აგროვადებში დამოუდობის 4.100 ტონა ნედლეული. 15 მაისს დაიწყო შერჩევითი კრეფა იმ ბრიგადებში, რომლებსაც ვინო ჭანაშია, ვარსა გე

რგედავა და ნუგზარ ბულია ხელმძღვანელობენ.

№ 2 ჩაის ფაბრიკის შეუფერებლად ბარდება ნედლეული.

კრეფა სულ უფრო მასიურ ხასიათს იღებს. ამ დღეებში 20-მა საკრეფ მანქანა „საქართველომ“ აიღო გეზი პლანტაციებში აქვს

საზრუნავი მეტი გვქვს

მიმდინარე სეზონს ჩაის კრეფისა, თვისობრივად წინა პერიოდის საპირისპიროა. თუ მაშინ უღმინისტრაციულ - მბრძანებლური მეთოდებით დგინდებოდა კრეფის მაღალი გეგმები და რეზულტატს გამოდევნებულნი ორგანიზაციები იფიქრებდნენ ხარისხს დღეს კი პირიქითაა.

პირველი და გარდუვალი არგუმენტი ჩაის ფოთლი მოიკრიფოს ისეთი ხარისხის, რომლისგანაც მიიღება კონკურენტუნარიანი პროდუქცია. წინასწარ განსაზღვრა იმისა, თუ რა რაოდენობის ნედლეული მოიკრიფება ამა თუ იმ ნაკვეთზე, მხოლოდ ჩაის პლანტაციებს შეუძლებ

ასეთ დროს, ასეთ პირობებში, როცა გეგმა „ქანონი“ არ არის საფიტრალი მეტი გვაქვს. უნდა გამოირიცხოს კრეფა ყოველგვარი „იარაღების“ გამოყენებით და დამზადდეს მხოლოდ ხარისხიანი ნედლეული, იქნება ეს ხელით, მცირე მექანიზაციით თუ მობილური მანქანებით.

ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის მზადების დღეებმა წარმატებით ჩაიარა. ახალბისთონის კოლმეურნეობის ექსპრეზ ბრიგადა გავიდა საკრეფა-სტარტი აიღო შეიღმა მობილურმა მანქანამ.

ნავარაუდები 1400 ტონა ჩაისათვის ბრძოლა ქალაქში შედის.

მ. შარანი,
ეკონომიკი

ანეტა დადიანი-დადეშქელიანი აკაკი წერეთლის უსაყვარლესი, ერთადერთი დისწული იყო. დიდი პოეტის და მავრა (მატა) 1872 წელს ცოლად გაჰყოლია ალექსანდრე ვამეხის ძე დადიანს, რომელიც სამეგრელოში გაბნეული მორწილი მიწა-წყლისა და მადლიანი მთის ბატონ-პატრონი იყო. ეს სოფელ ჭვავოსორში (ძველი სენაკის ახლოს), აგრეთვე ჭვარში თავისი წოდებისათვის შესაფერისი სახლ-კარი ჰქონდა.

ანეტას დედას მატას, საუბედურად, ამ წუთისთვის დიდი ხანი არ უცოდვლია. იგი „პირველი შეიღოსნობის გადაწყველია“ (იხ. ართა ლოლუა, „მოგონებები“, გამომც. „ხელოვნება“, თბ. 1954 წ.), ხოლო მამა ალექსანდრე დადიანი 1877-78 წლების თურქებთან ომში სამურყაანოს ტერიტორიაზე (ჩქუში) მიძიმე დაუჭრით და მალე გარდაცვილია. აკაკი ესწრებოდა სიძის დაკრძალვას სენაკში, მწუხარების გასაზიარებლად მოსულად დედოფალი ეკატერინე ჰაჰევაძე და მისი მასწო გრიგოლ დადიანი (ბოეტი).

დედ-მამით ობოლი ანეტა სხვიტორში ჩაიყვანეს აღსაზრდელად. აქ მან საოჯახო განათლება მიიღო და ნიჭის, თვითგანათლების, მონდომების წყალობით იმდენი შეძლო, რომ ლექსებს წერდა და მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა. აკაკის მოსწონდა მისი ლექსები და ურჩევდა დაებეჭდა. შემომთმითებული მოგონებების ავტორი, ცნობილი მსახიობი ქალი ართა ლოლუა მოსწავლეობის წლებში ქუთაისში ანეტასთან ერთად ცხოვრობდა ბინაში. იმ პირველი რევოლუციის წლებში ქანსულ დადეშქელიანი ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი ყოფილა.

14 წლის ანეტა სხვიტორიდან საცხოვრებლად სამეგრელოში ჩამოვიდა და მამულის ბატონ-პატრონი გახდა. ჭვარში (მაშინდელი ზუგდიდის მაზრა) ანეტას ორსართულიანი სახლი ედგა, კონდრიანი ეზო აშვენიებდა, რომელიც ტანხატულა მთების ფონზე მომჭადოებლად გამოიყურებოდა. აქვე ესახლნენ მისი „ნათესავ-მოგვარე დადიანები“, სადაც ანეტას შეუძლო შინაურულად ეგარძნო თავი.

ბრწყინვალე წოდებისა და მორწილი სიმდიდრის მქონე ქალიშვილს საქმრთებს რა გამოუღედა, მაგრამ გადაწყდა იგი ქანსულ დადეშქელიანზე დაქორწინდა. ქანსული სჯავთის მთავრის შთამომავალი იყო, სამეგრელოში გაშვილებული, სამხედრო განათლება მიიღო, წარმოსადგეი ვუჟაკო, იგი ამდროს, მოგონების მიხედვით ზუგდიდის მაზრის უფროსად იყო დანიშნული.

დაქორწინებულთ ორი ვაჟი შეიძინათ, სიყვარულითა და სიხარულით აიყვანო ოჯახი. ხწო-

რედ მათი ძიძა იყო მსახიობი ართა ლოლუას დედა, დგებუადის ქალი ზუგდიდიდან, რომელიც ხორში ლოლუაზე იყო გათხოვილი.

ჩვენი ძიძა უსაზღვროდ უყვართ გაზრდილებს, ასე უყვარდათ ანეტას ვაჟიშვილებს — თათარხანსა და საშას, რომ-

დადიოდა, აქვე შეიშინა მან „ბრეტოვალა ფისუნია“ (ასე მონათლა ართა), ერთხელ თბილისში მოსანი იმ წარმოადგენას დასწრებია, რომელსაც ართა მონაწილეობდა, დაიბრა, შეაქო და გააზნევა დ მწყები მსახიობი, თანაც უთქვანს: „მეყოლილი ვარ, რომ ჩემი ანე-

მოგონებები აკაკის დისწულზე

ელთაც ოთხი წელიძეძუს აწივებდა, თავს ევლებოდა ახალ-გაზრდა ქალი, მშობლები დღე-ღამე აუხლებდნენ ძიძას სიყვარულით გაუღნთილ შრომას და ყოველმხრივ ეხმარებოდნენ მის ოჯახს, როგორც უახლოეს ნათესავს.

არეთას ხელოვნება იზიდავდა, კერძოდ, მსახიობობა სურდა. ქუთაისში პროკიმინაჟის დამთავრების შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარის კანცელარიაში მუშაობდა, ხოლო 1910 წელს გაზაფხულზე ართა თბილისში გერგუჯიარა, საქონურსო გამოცდები ჩააბარა და ქართული თეატრის დასში ჩაირიცხა. კენია ანეტამ (ასე ეძახდნენ მას) წერილი მისწერა ტასო მახაბულას (ვანოს მეუღლეს), ამ უკანასკნელმა იგი მკაცრ სჯავრვასთან მოაწყო ოჯახში, სცენის სწორუმკარამა ოსტატმა ქართული თეატრის კორიფეებს გააცნო ნიჭიერი გიგონა და მომავალი დაულოცა.

აკაკი ქუთაისში, რას-კვირგილია, დისწულის ოჯახში

ტას გაზრდილი, ქართულ სცენაზე მუშაობდა გამოადგება. ქველმოქმედისა და მრეწველის სახელი ნაღვლობისას დიდი პოეტო სუჭუნელ აკაკი სოხტარას სთხოვს, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი ართა ლოლუა თავის ხარჯზე მოსკოვში სასწავლებლად გაავაწავოს.

ანეტა გიტარაზე მშვენივრად უკრავდა, იმხანად ჩვენი უფროსი პოპულარული ჩონგური ყოფილა. იგი გიტარაზე მებტარე ბიძამისის ლექსებს ამღერებდა, რითაც ალბათ უმაღლეს ესთეტიკურ ტკობას წაუცდევინებდა მსმენელს. ამბობენ, ეს გულკეთილი ქალი დიდ თანხას ხარჯავდა საქველმოქმედო საქმეებზე. ქუთაისის თითქმის ყველა სასწავლებელში ჰყავდა ობლები, რომლებიც მის ხარჯზე იზრდებოდნენ. ასევე ბევრი სტუდენტი რუსეთში მისი დახმარებით სწავლობდა. სამ გიგონად ზოგჯერ მის კარზე თამასუქიანი მევალე გამოჩნდებოდა. ქანსული ხედავდა ამახ, მაგ-

რამ საქმესი არ ერეოდა. იგი პატივს ეცხმარებოდა და დაწესებულ დღეებში სადილს უგზავნიდა. ანეტა ყოველ ზაფხულს ევპატორიაში მიემგზავრებოდა სამკურნალოდ. ამ ოჯახს დასწრებულყო ყოფილა დანეტას ახლოს იცნობდა ახალ-გაზრდა აკაკი შანიძე (შენდგომში დიდი მეცნიერი). ანეტა დიდი მორწმუნე ქალი ყოფილა. რწმენა დედა ანამ შთათუნეგა ბავშვობიდანვე. შვილებზე მზე და შთვარე ამოსდიოდა. ხომ არ გრძობდა დედის გული, რომ მის ვაჟ-ცებს დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერათ, ორივე იშვერია-ლისტრმა ომმა შეიწერა. ანეტა მალე საზოგადოებაში გაართობთ თავს არ იწყებდა, სძულდა უშინარსო და ფუსკავატური ყოფა, იქნა მშვიდად თავის ოთახში და წერდა ლექსებს ან თარგმნიდა. იმ პერიოდში მის უთარგმნი მიუგოს „გამაიცებულნი“, რომლის ნაწევრებს არეთას უკითხავდა.

ახლანდელი ზუგდიდში ჩემს ძველ მეგობარს კუპურ ხუსას ძე დადიანს შეეხვდი. ვიცოდი ანეტა დადეშქელიანი მისი ხაზის ბიძაშვილი იყო. გთხოვე მოეხრო მის შესახებ. იგი საკუთარი გენეალოგიის კარგი მცოდნე აღმოჩნდა, რაც მთავარია, გავიგე, რომ მის ოჯახში ანეტას ორმოცდაათმდე პირადი წერილი ინახება. უმთა გაუზუზილი, სახალხო განათლების წარჩინებული.

გახსენება

1978 წელს, ახალგაზრდა მურხალისტ მედიკო კეიდიასთან ერთად ერთი მენტად ტკივილიანი ნეკროლოგის შედგენაზე მომიწია მუშაობა: უდროოდ გარდაიცვალა გოგი კვიციანი.

გული სიმწრისგან გვეკუმებოდა, გვიკირდა სიტყვების გამონახვა, გოგზე წარსულში წერა. არადა, ვიდავს ხომ უნდა ეთქვა სათქმელი.

დღემდ არ გვქერა, რომ ეს ამალღებული, მაღალი წენობის, მეოცნეე პირივნება ვერ მოესწრო თავისუფლების დღეს, რისთვისაც იწვოდა, იღწვოდა და რისთვისაც დაიფრფლა.

არადა, ეს პირტიტულა ბიჭი მისი თაობიდან ერთ-ერთი (თუ არა პირველთაგანი) იყო არა მარტო ზუგდიდელთაგან, არამედ ქართველთა ქვეყანაში სავრთოდ, ვინც ეზიარა დედა-საქართველოს დღევანდელი ლიდერისა და მისი ხულმნათი, აწგანსვენებული ძმის უწენაეს იღებეს.

გოგი კვიციანიზე დიდი გავლენა მოახლანა მშობლების, წინაარბის მაღალმა წენობრივმა ტრადიციებმა. რაც ფეხი აიდგა, მომსწრე იყო საქართველოს ყველა დროის „მეტრას“. მოაზროვნისა და დიდოსტატის მისი ოჯახის საამაყო წევრების მომხიბლველი სჯა-ბასისა, რომელიც დაფუძნებული იყო უწენაეს ქრისტიანულ მორალზე. გოგი ხარბად იწვოდა ყოველივეს, რაც ასე ჰარბად გადმოიღინებოდა სტუმართა ბავშვიდან და ნათლ მირონით ცხბულ უზადო

გნეპალაღი, კეთელუობრღი

ყმაწვილკაცად ფორმირდებოდა, შესაშური სტუმრიანობით, ურთიერთობებით ხარობდა და ლაღებოდა ზუგდიდში, რომელიც, მართალია, მოსახლეობის რიცხვნებით გაცილებით ჩამორჩებოდა დღევანდელს, მაგრამ ღირსეული (და არა ცალკეული პირივნებით მხოლოდ) საგრძობლად ჰარბობდა ბოლო დროინდელ ჩვენს ქალაქს. ზუგდიდისთვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი ნატიფი კულტურა, არა მარტო ყოფითი სტუმართმომყვარობიდან გამომდინარე, არამედ სავრთოდ: წენობრივი, უატრალური, ხალხური შემრისტიკვიერების, მეტრეტიკვიერების, რანდობის, რომელიც თაობიდან თაობის გადაეცემოდა.

აბა, როგორ შეიძლება არ გავიხსენოთ აკაკი შანიძე, გვანჯი ჩიკოვანი, კაპიტონ ცანავა, ისაკ ქორთუა, შალვა შენგელი, ალექსანდრე თგუთია და სხვები, (გარდა მშობლებისა და ნათესავ-მომყვარეთა ფართო წრისა) ვისგანაც იწვოდა გოგი იმ საუკეთესო მარცვლებს, რაც გაჩენდა ჩვენს „აღვილის დედას“.

მომავალ ინჟინერს, ნატიფ გემოვნების მქონე გოგის გული ყოველთვის „თეთრი ტაპრისკენ“ მოუწევდა. სომოციანი წლების უნივერსიტეტის სტუდენტებს კარგად გავსოვს მთავარი კორპუსის წინ აშოლტილა ჰ დრები. გოგი ყოველთვის ყველაზე მაღალი ჰად-

რის ქვეშ იდგა, თითქოს მომავლისკენ გასაკეებელი ნახტომისთვის ემზადებოდა.

ხშირად ნახევრით მისთვის დამახასიათებელი სიღინჯით, ასაკისთვის უჩვეულო სიღარბისლით თუ როგორ ესაუბრებოდა მწერლობაზე, თვითონ მოლექნე ყმაწვილი, მებტად ნიჭიერ, არაორდინალური ლიტერატორს. მთარგმნელს შოთა ჩანტაძეს. — გახარებულს მომაუჭრე კოლხის ბიჭის ფართო ერუდიციით. შემდგომ გოგი, ვაგლახ რომ თვითონაც საბედისწერო მომავლისთვის გამზადებული, სიცოცხლის დრჩენილ წლებში არასდროს იგიწყებდა უფროსი მეგობრის სხელებს. გიგლა სარიშვილთან, თედო ბექიშვილთან ერთად ხშირად აკითხავდა შოთას ხანდაზმულ დედას...

ფართო იყო გოგი კვიციანელის მეგობართა წრე. თანაკლასელები ოთარ ჩომახია, სოსო ბებია, დავა მეუნარგია, ბაქია კიდიანი, გულადი ბარქმიშვილი, ომარ გოგობია, რევაზ და თამაზ კოზმავები და სხვა მრავალი ზუგდიდელი, თბილისელი, თუ არა თბილისელი მეგობრები დღემდე ვერ შეგუბიან სიცარიელეს — გამოწვეულს გოგის უდროოდ დაღუპვით. მასში ისინი ხედავდნენ პერსპექტიულ მეცნიერს (საკანდიდატო ნაშრომი მზად ჰქონდა), მწერალს დევის მსახურს, ყოველდღე რამ

იზრდებოდა და კეთილშობილების ნაშუშს იძლეოდა. რომელიმე ზუგდიდელი საერთოდ ვინმე თუ შეიძლება იწოდებოდეს თავისუფალი, დამ-

ოუკიდებელი, სუფერენული სახელმწიფოს — საქართველოს ღირსეულ მოქალაქედ, ერთ-ერთი უპირველესი გოგი კვიციანი. ბ. მიქუნანი.

გისხენებთ და გული გგტკივა

უკვე გაზაფხული იღვია, ლელა. უშენოდ პირველად შევხვდი ბუნების ზემოს, უშენოდ პირველად ჩაიცივეს საპატარძლო კაბები ალუჩებმა, პირველად მოიკიდეს ცეცხლი ატმებმა, შენი დაბადების დღეს — 12 მაისს პირველად შევხვდი უშენოდ.

გვაკლიხარ და თითქოს აღარც გვქერა, რომ აღარა ხარ. თითქოს იმისთვის დაბადე, რომ შენი ხალსი გულითა და ღამაში ღიმილით ჩვენი სიცოცხლე გაგმეშვენიერებინა და მერე წასულიყავი. სამუდამო, დრმა კრილობად კი დაგვიჩნდი გულზე...

მიზანი და საოცნებო ბევრი გქონდა. შეუძლებელსაც შეიძლებდი, რომ დაცლოდა. ვაი, რომ გზის დასაწყისში შემოგდამდა; ავტოკატასტროფამ დაუსვა წერტილი შენს ღამაზე სიცოცხლეს. მხოლოდ 17 გაზაფხულს მოესწარა, მე-18 კი ავარ, უშენოდ გავაცილოთ. გახსენებთ და გული გვტკივა: გოგსენებთ თანატოლები ლელა (თამარ) თოდუას. შენი ბატება კი ქედლიდან სევდიანად იღიშება, თითქოს გვერურჩულება: „შესანდობარი დალით ჩემის“.

ნირო კუბალია.

უკანონო დადგენილება გაუქმავულია

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის ბიურომ 1988 წლის 19 სექტემბრის დადგენილებით ცეკავშირის ზუგდიდის სარაიონთაშორისო საგვარო ბაზის დირექტორი ჰ. გადელია გათავისუფლა დააკვებული დანაშაულებიდან, რის შესახებაც მეიხბეული ინფორმირებული იყო ზუგდიდის საქალაქო და რაიონული გაზეთის მეშვეობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა ამაწინათ გააკვება ზემოთაღნიშნული დადგენილება ჰ. გადელიას შესახებ, როგორც შრომის კანონმდებლობით მიღებული, უკანონო და პარტიის რაიკომის ბიუროს მიერ უფლებამოსილებას გადაშებული.

და ჩვენ, ვითარცა ნამგზავნი...

(მეორე ნაწილი)

ჩემი ტყვილი, გართული ტყვილი თაობის, გამოეფინა ვარდისფერ ქუჩებს... ამბობს ირავლი კოსტავა და მეც ვიმეორებ...

ნეშა თაობამ ძალიან ადრე დაიწყო ამბობი იმპერიის ლაშქრის წინააღმდეგ, ჩვენი სული იწრთობდა ხევისბერის სიტყვებით: „ნუგზართან ბრძოლა ადვილი არაა, მთელთაუც ძიება დავიწყებით და ჩვენზედ გამოლაშქრებას აპირებენ... დავიწყებ ჩილდენი?—არა, არა, არა!...“

დაიწყო ნოემბრის შემთხვევა, თავისუფალი მიტინგები და ჩვენ გვიხაროდა ქართული სულის დაუმორჩილებლობა, თითქოს გემფარველობდა წმინდა გიორგი, მაგრამ ყ აპრილის დიდი ხნის ნალოლიანები ოცნება უფსკრულში გადაეშვა... „ჭარბსკაცები ლესავენ დაწვან, დაყუწვენ სისხლის მღვანარს... როცა საშველი აღარ იქნება ვერ დაგიფარავს. ვეღარც ტაძარი...“

10 აპრილს სკოლიდან გავიბარეთ, რათა ტაძარში სათლბები აგვეთო დაღუბულთათვის, მაგრამ დავიჭირებ „წესრიგის დამცველები“, სკოლაში მიგვიყვანეს...

ჩვენ მარტონი ვადეით ზღვის აღმდებულ ტალღებზედ, სხვათა კი ნაპირებიდან გვესროდნენ ტალახს, რათა ჩაეკლათ ჩვენი დადი სულბები აწვირთებულ

ქაოსში... ვეღარ შეძლეს ამირანის ხელახლად დაბრუნება. ისინი ურცხვად, დაქუცით ტაშს უკრავდნენ ეროვნულ პარლამენტს, სულ ცოტა ხნით ადრე რომ იმათ დასჯას მოითხოვდნენ, ვინც თავისუფლებისათვის იბრძოდა. დარწმუნებული ვარ, მათი სულბები არასოდეს განიწყინდებია.

20 მაისს სამფრთხიანი დროებითა და ლალი ლოზუნგებით მოვაწყვეთ დემონსტრაცია, ვმღეროდით, ეროვნული მოძრაობის თავკაცთა მწველ ვფიცულობდით, გვემაჯებოდა, რომ ჩვენში სისხლი აღარ იყო მონის... ჩვენც ხომ პატრიოტები ვიყავით... მაცხოვრისკარის ეკლესიაში ქვებზე მულ მყოფი ვფერდით „მამაო ჩვენოს“ და სამრეკლოდან დაგვნათოდა ქრისტეს დიადემა. ლერწმებივით წელში გადაგვტეხა ცნობამ—მოგვიყვებო მერაბ კოსტავა. საკლასო ოთახებში ორმოცი დღე მერაბის სურათსა და ღვთისშობლის ხატთან გვეთო სასთლბები.

გვესმოდა ირავლი მყოფთა ირონიული სიტყვი, ზაკვა, ზოგჯერ ბოლბა... მგლოვიარენი ვემსგავსებოდით ფერწამართალ მთვარეს...

სიმათლე ბრძანა აკაცი ხაქრაძემ: „ვერ ერთი, საუბედ-

უროდ, ჩვენ აღარ გვესმის ჩვენი შეილები, და მეორეც მათი ნაღრევი ხედა-ტყვილი ჩვენი ბრალია, ჩვენი სიღარის, ჩვენი შემგუბლობის, ჩვენი მატყუარობის...“

ისევ დაგვიბრდა პრობლემები. ზურაბ ჭავჭავაძის სახელი მოვიტოვეთ, ჩვენი სკოლისათვის. მოვიწვიეთ ზურაბის მსუღლდე და ქალიშვილები... მინც რაოდენი აკრძალულის შიში იგრძნობოდა უფროს თაობაში.

წელიწადი სევდიანად წავიდა, იყო შემოდგომა ფერმისდილი, ზამთარი თოვლიანი, გაზაფხული ნაწი... ჰაი, ჰაი, საოცნებო ბავშვობავს!

და ჩვენ, ვითარცა ნამგზავნი, ჯოსზე დაყრდნობილი შევეურებთ გზას გოლგოთისას და ჩვენში გმინავს ვაჟაფშაველა:

„არ მივცემთ მტერსა სამშობლოს, გულში დავიცემთ დანასა, არ მივცემთ უცხო ტომისას თავის მამულის დლახს. ისიც ასწავლონ დედებმა ქვლთ, როს ეტყვიან ნანასა გაზრდილა კიდეც მშობელი ვაჟკაცებს ჩვენისთანასა?“. ნირანდა შიშინებამ, ქ. ზუგდიდის მესამე საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე.

უშელავითო ბრძოლი

თამაში, რომელმაც კოცისპირულ წყანში ჩაიარა, მოხობოდა ორივე გუნდისაგან უკომარომისობას, რადგან ზუგდიდის „ოდიში“ და „ბათუმის „დინამო“ პრეტენზიას აცხადებენ ეროვნული პირველობის საწიზო ადგილებსათვის. სტუმრებს უკვე მე-4 წუთზე შეეწლით ანგარიშის განსნა მაგრამ ბათუმელი კიურჭივის ძლიერი დარტყმა დაბალ კუთხესში მეკარე ჰანტრიამ მოიგერა, მისე მოგერიების შემდეგ ბურთი მოხვდა ძელს და დაუბრუნდა მინდორს, მე-11 წუთზე 20 22 მეტრიდან ტულუშის კვლავ ბრწყინვალე დარტყმა და ბურთი ოდნავ სცდებდა დაბალ კუთხეს, დაახლოებით 15 13 წუთის შემდეგ ზუგდიდელმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, ხელთ იგდეს ინიციატივა და 25-ე წუთზე თევზაძის ძლიერი დარტყმა და... მეკარე ძალაძემ იხსნა სტუმართა კარი აშკარა გოლისაგან. 25-ე წუთზე ყიზილაშვილის დარტყმა დაბალ კუთხესში—ბურთი ოდ-

ნავ ცდებოდა კარს. მე-17 წუთზე კვარაცხელიამ მარჯვენა ფრთაზე გვერდი აუარა ორ მოწინააღმდეგეს, შეიჭრა საჭარბო მოედანზე, გააკეთა ზუსტი გაგინწული გადაცემა კარის გასწვრივ და შეროზამ ნახტომში თავური დარტყმით „ჩაკტა“ შორეული ძელი—1 0.

მეორე ტაიმიც მასხინდელია შეტევებით დაიწყო. 5-ე წუთზე შეროზის კარის გასწვრივ ზუსტ გადაცემას მოჰყვა ყიზილაშვილის თავური დარტყმა მეკარისაგან შორეულ კუთხესში—2 0.

ამის შემდეგ და თამაშს ბოლომდის მოედანზე მიმდინარეობდა თანაბარი ბრძოლა, ორივე გუნდი ბევრს უტყვდა, მაგრამ შეტევები მთავრდებოდა საჭარბო მოედნის მისაღვომებთან. რეალური საგოლე სტუაციები ორივე კართან პრაქტიკულად არ შექმნილა. რ. გაბისონია, ჩვენი კორ.

რედაქტორი აბ. ზანტურიბა

შვილცი ფატიმა, თენგიზ როგავები, იმები ვარლამი, გივი გულუბი, რძლები იულია დიმიტრი, ქორდიკო გეთია, სიძე ლეონტი როგავა, დისშვილები: ცილა, მურმან როგავები, ძმისშვილები, ზურ, ცეზარ, ინგა, ირმა, ნინო გულუბი, მულიშვილები: გოგუცა, ქვატია, ცილა, შიდილი აკობიები, დეიდაშვილები, მამდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

კაისა (ცხუნთუ) გულუა-როგავას გარდაცვალებას. პანაშვილი 30, 31 მაისს. დაკრძალვა 1 ივნისს გამოსვენება ქ. ზუგდიდი, გარდაცვალებას. პანაშვილი 31 მაისს, 1 ივნისს, დაკრძალვა 2 ივნისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, გაგარინის 36.

მეუღლე ეთერი, შვილები: ლალი, ლევთერი, გერონტი, თემური, დეიდა: ვეზერა, მარგო, ოძლები: ფუშო, ივრორა, დოგეჯანი, სიძე ჯანო ჯონჯუა, შვილიშვილები: ლეა, თემური, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამდაშვილები და ახლო ნათესავეები იუწყებიან

ნაბოლდონ ბუჭუს ძე ფიფიას გარდაცვალებას. პანაშვილი 29, 30, 31 მაისს. დაკრძალვა 1 ივნისს სოფ. ახალკახათში.

შვილები: გული, ნელი. გენო ოთხოზორიები, და ოლლა, რძალი ეთერ ჩიქავა, სიძეები: შალიკო ოთხოზორია, იოსებ ღურჭყაია, ბონდო შელია, შვილიშვილები: ყანა, მარინე, საშა ლურჯაყები, ევა, გოგი შელიები, ძაია, ლადო ოთხოზორიები იუწყებიან

მეუღლე ფენია, შვილები: თენგიზი, ნუგზარი, ანზორი, და ვარვარა, ძმა ლეონტი, რძლები: ლეხა, თინა, ნინო, ბიძაშვილი ამრონი, ავირველია, შვილიშვილები: ცირა, ძმისშვილები, დისშვილები და ახლო ნათესავეები იუწყებიან

აკაცი ნესტორის ძე სოსელიას გარდაცვალებას. პანაშვილი 31 მაისს, 1 ივნისს, დაკრძალვა 2 ივნისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, გაგარინის 36.

მეუღლე იდამი, შვილები: კუსა, ლალი, სიძე ბონდო, ხაფავა, შვილიშვილები: ლეკა სამსონიძე, ირინე, სალომე, ლექსო ხაფავები, რძალი ლეა, ძმისშვილები: კოტე, ზაური, გოგი, ცილა, ცუცა, ნინა ხასაიები, დისშვილები ლიანა ჯანჯავა, ვალერი, ლეილა, ჩიტო ქარაგები, მზლიშვილები ნათელა, სოსო, გოგი, ბიძაშვილები, მამდაშვილები, ახლო ნათესავეებით იუწყებიან

ლუნა ხახია-არდვლიანის გარდაცვალებას. პანაშვილი 29, 30, 31 მაისს. დაკრძალვა 1 ივნისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, სვანეთის ქ. 33.

ს-გ „საქალაქმშენების“ ჯანბუქტის თანამშრომლები რძმა მწუხარებით იუწყებიან ჯანბუქტის გამგის ექიმ ლუღუკ დომენტის ძე ლოგუას გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დადნის კომბინატის მუშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ ნათელა ქირიას დედის ლიდა ლაგერენტის ასულ მაქაყარია-ქირიას გარდაცვალების გამო.

საპარტელოს რესპუბლიკის სოფლისა და საბაჟო მეურნეობის სამინისტროს ზედამხედველ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური ბ. ც. ხ. ა. დ. ვ. ს.

მოსწავლეთა მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. აპრონომიულ განყოფილებაზე: უმცროსი აგრონომის სპეციალობით—არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე შექმნილ ჭაფუბებში პირველ კურსზე სწავლების ვადით 3 წელი და 6 თვე.

2. სოფლის მეურნეობის მექანიკის განყოფილებაზე: ტექნიკოს მექანიკოსის სპეციალობით, რვაწლიანი სკოლის ბაზაზე შექმნილ ჭაფუბებში პირველ კურსზე სწავლების ვადით 3 წელი და 6 თვე.

3. საბუნაღბრო აღრიცხვის განყოფილებაზე — ბუნაღბრის სპეციალობით. საშუალო სკოლის ბაზაზე შექმნილ ჭაფუბებში მეორე კურსზე სწავლების ვადით 1 წელი და 9 თვე.

4. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ორგანიზაციის ტექნიკური განყოფილების განყოფილებაზე: ორგანიზაციის ტექნიკოსის სპეციალობით.

საშუალო სკოლის ბაზაზე შექმნილ ჭაფუბებში მეორე კურსზე სწავლების ვადით 2 წელი და 6 თვე.

ცხრაკლასამთავრებულბები ტექნიკუმის დამთავრებით დებულბენ ზოგად საშუალო განათლებას და დაბლობთან ერთად მიიღებენ მესამე კლასის ავტომობილისა და ტრაქტორისტის მოწმობებს.

ოთხოსნები და ხუთოსნები მიიღებენ სტიპენდიას 100-125 მანეთს.

ტექნიკუმში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან რესპუბლიკის მოქალაქენი 80 წლის ასაკამდე, მათ დირექტორის სახელზე უნდა შემოიტანონ განცხადება ერთიანი ფორმის მიხედვით შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. მოწმობა ან ატესტატი განათლების შესახებ (დედანი), 2. სამედიცინო ცნობა ფორმა №108, გაცემული სპეციალ პროფილაქტიკური დაწესებულებების მიერ საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

3. ამონაწერი შრომის წიგნაიდან დამოწმებული წარმოება-დაწესებულებათა მიერ საცხოვრებელი ადგილის შესახებ. 4. სასწავლებლად მივლინებულთა მომართვა ერთიანი ფორმით (დანართი №3, №4) ეძლევათ საწარმოებიდ ნ, მურ-

ნეობებიდან, კომპიუტერობებიდან. დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან. 5. 4 ცალი ფოტოსურათი (გადაღებული უქულოდ ზომით 8X4, სსს-წავლებელში შემსვლენი პირადად წარმოადგენენ დაბადების მოწმობას ან პასპორტს, სამხედრო ბილეთს.

განაცხადებანი მიიღება 1 ივნისიდან 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები ჩატარდება 1. საბუნაღბრო აღრიცხვის სპეციალობაზე: მათემატიკა—ზეპირი, ქართული ენა-ლიტერატურა—თხზულება.

2. ორგანიზაციის ტექნიკოსის სპეციალობაზე მათემატიკა—ზეპირი, ქართული ენა-ლიტერატურა—თხზულება. შენიშვნა: აგრონომიულ და სოფლის მეურნეობის მექანიკის სპეციალობებზე (№1502, 1508) გავრცელდება ექსპერიმენტი და აბიტურიენტები ჩაირიცხებიან უგამოდოდ (გასაუბრებით).

ტექნიკუმში ჩარიცხული ყველა სტუდენტი მიიღებს სტიპენდიას არა ნაკლები 100 მანეთისა. მისამართი: ზუგდიდის რაიონი, ზედაწერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, ტელეფონი 78-2-47. დირექტორი.

სრულიად საქართველოს ღვთისმშობელთა კეძის (რეკლამათა ასოციაცია) სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციას ესაჭიროება მბეჭდვ-მემანქანე, სასურველია რომელიმე ჭაფუბის მქონე ინვალიდი. ჩვენი მისამართია ქ. ზუგდიდი, გორკის ქ. №23, ტ. 2-67-97. ინვალიდთა ასოციაცია.

შვილი ლალი ფიფია, სიძე ჯანო, მზახლები ემა, იგორი ჯონჯუები შვილი ლიათი იუწყებიან ნაპოლიონ ბუჭუს ძე ფიფიას გარდაცვალებას.

ი. ნ. დ. მ. ხ. ი. ნ. ნ. ნ. ნ. რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-09, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-06, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა: მერაბ კოსტავა ქ. №56, 2-23-07, ტირაჟი 8000 შეკ. №2148